სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსეგ ნონეშვილი

№ 8 (4512) • 13 მაისი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 80 თეთრი •

ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში

კომფორტული სწავლების ტრიუმფი

ჭყონდიდელის თვრამეტში თუ ჩაგივლიათ, თქვენ ნახავდით სიტურფეს და საოცრებას. სკოლა იგი ქართულ-ამერიკულია, მოგანიჭებთ ესთეტიკურ შთაგონებას, – მითხრა ერთმა პოეტმა ექსპრომტად. ვეწვიე და მართლაც დავრწმუნდი ამაში. ორიგინალური სტილის თეთრი შენობა „ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“. ახლა ვრცელი, ეგზოტიკური ეზო ნახეთ ცადატყორცნილი კიპარისებით, დაბლა ვარდ-ბაღნარით დამშვენებული. მეცადინეობისგან გადაღლილისთვის იქ დასვენებას რაღა სჯობს? შვებას იპოვი უთუოდ. მოდით, სკოლაში შევიდეთ. სიმყუდროვე, გაკრიალებული დერეფნები, საკლასო ოთახები, თვალსაჩინოებით ზომიერად გაჯერებული, სამეცადინო განწყობილებას აღძრავს. განვაგრძოთ დათვალიერება. აი, სასწავლო სტენდები, კედლის გაზეთები, სიბრძნის, მეცნიერების კორიფეთა პორტრეტები, მათი გამონათქვამები. მარმარილოს ასასვლელი კიბეები. მოზაიკური მეტლახ-კაფელებით გაწყობილი ვესტიბიული, რომელიც, როგორც ბრეჟნევის მკერდი ვერ იტევდა მედლებს, ისე ვერ იტევს მასშტაბურ ოლიმპიადებში, კონფერენციებში, კონკურსებში მოსწავლეთა მიერ მოხვეჭილ დიპლომებს, სერთიფიკატებს...

სტრუქტურაზე საუბარს მეტს არ გავაგრძელებ. ამას პლუს ძლიერი შემადგენლობა პედაგოგებისა გახლავთ წარმატების გარანტი, აქ შედეგებზე ორიენტირებული კომფორტული სწავლების ტრიუმფი. ვინ არის ყოველივე ამის შემოქმედი? ვინ და, უაღრესად ერუდირებული პედაგოგ-მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, მრავალ საერთაშორისო სიმპოზიუმში გამარჯვებული **მამუკა მესხიშვილი**, რა თქმა უნდა, გამობრძმედილ პედაგოგთა თანადგომით.

ახლა რომანტიკული რიტორიკიდან დადინჯებულ სტატისტიკაზე გადავიდეთ და ისე გავეცნოთ ამ სკოლის წინსვლა-ნარმატების ეპიზოდებს. საქართველოს წამყვანი კერძო სკოლა - „ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის“ სახელწოდებით 2003 წელს დაარსდა. ე. ი. ათი წლის იუბილე უკან მოიტოვა. სკოლას ერთი ჰექტარი ულამაზესი წიწვოვანი ტყე-პარკი აკრავს. აქ მოწყობილია ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სამედიცინო კაბინეტით, კვების ბლოკით, თეატრალური და

საკონფერენციო დარბაზებით. სკოლის 105 მასწავლებლიდან ყველა სერთიფიცირებულია. მასწავლებელთა გუნდი მომავალ თაობას აძლევს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის განათლებას.

სკოლის დირექტორი **მამუკა მესხიშვილი** აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. 2013 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი სახელწოდებით „სამსაუკუნოვანი პრობლემა“. წელს კი მსოფლიოში აღიარებულ, მათემატიკის ამოუხსნელი პრობლემები ვებგვერდზე – www.unsolvedproblems.org/index_files/Solutions.htm. გამოქვეყნდა მისი ორი სამეცნიერო ნაშრომი. სკოლის უფროსკლასელები სწორედ მისი ხელმძღვანელობით მუშაობენ საკონფერენციო თემებზე, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებს.

2013 წლის სექტემბრიდან ვაკეში ფუნქციონირება დაიწყო ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ფილიალმა ქართულ-ამერიკულმა სკოლამ. Georgian-American (იხ. ვებგვერი: www.gas.edu.ge). ამ ფილიალის დირექტორია ქალბატონი **ირმა მესხიშვილი**.

გამოსაშვები თუ საატესტაციო გამოცდების შედეგებით, კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებზე მიღწეული წარმატებებით სკოლა მუდმივად ძლიერია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში. ჩვენი სკოლა არის ICYS-ის და INTEL ISEF-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. წელს 19-25 აპრილს ჩვენმა გუნდმა საქართველოს სახელით იასპარეზა თურქეთის ქ. იზმირში გამართულ ICYS – ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციასა და გასულ წელს 11-16 მაისს აშშ-ს ქ. ლოს-ანჯელესში გამართულ INTEL ISEFF – საერთაშორისო სამეცნიერო და საინჟინრო გამოფენაზე. 2015 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე ქართულ-ამერიკული უმაღლესი და ქართულ-ამერიკული სკოლის გაერთიანებული გუნდი დიდი წარმატებით გამოვიდა მათემატიკის სექციაში. ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: **გიორგი მესხმა** – ოქრო, **მარი ქანაშვილმა** – ოქრო, **გიორგი გიორგაძემ** – ვერცხლი, **ჯაბა ჯაბაურმა** – ვერცხლი.

სკოლა ასევე არის ამერიკული მათემატიკური საზოგადოების MY ALPHA THETA-ს წარმომადგენელი საქართველოში, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს მოსწავლეებს

გაგრძელება მე- 2 გვ.

პედაგოგი – ვინც გვაცხრამაისა



„აქ პირველობდი შრომაში, იქაც ყოფილხარ წინაო“, – დედის ეს სიტყვები ცხრა მაისს გამარჯვების ზეიმის მონაწილე ყველა ომგადახდილს ეკუთვნის. ვაგლახ, რომ ნელ-ნელა მცირდება მათი რაოდენობა და თითებზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ.

როგორ გულს გვტკენს უსამართლობა, როცა ზოგიერთი ტვინნაღრძობი, გრანტებს დახარბებული „ექსპერტ-პოლიტოლოგი“ კნავის: „ეს ომი სამამულო არ იყო“. ანდა „რა პატრიოტები არიან, სხვის ომში იბრძოდნენო“. ამ უწიგნურებს თუ არ უსწავლიათ, არც სხვისგან გაუგონიათ აბაშელის სტრიქონები: „მტერი თუ მოვიდა, ჩაგვიქრობს კერას მამა-პაპეულს, პირში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური, მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აპეურს და ნესტანს ტყვედ წაიყვანს ქაჯი უფრო ველური?“ ეს მართლაც ველურები ახალგაზრდობას დღესაც უტენიან თავში აზრს, თითქოს გერმანელები დემოკრატიულ სამოთხეში გვაცხოვრებდნენ. სად გინახავთ მსოფლიოში კეთილი დამპყრობელი?

დამსახურებული მასწავლებელი **მირიან ჯალაღონია** ბრძოლაშიც და შრომაშიც ჩვენს მშვიდობას, უშიშროებას იცავდა მაშინ და იცავს დღესაც. იგი, 90 წლის ვეტერანი 9 მაისის ზეიმის მონაწილეთა შორის მხნედ და ამაყად იდგა.

მირიან ჯალაღონია პედაგოგიური ოჯახის უხუცესი წევრი გახლავთ. მოღვაწეობდა პედაგოგად გაგრის სკოლებში, სოხუმისა და ბათუმის პედაგოგიურ უნივერსიტეტებში. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გერმანული ენის ჩინებული სპეციალისტია. მისი მეუღლე **თალიკო წარია**, ცნობილი პედაგოგი, სოხუმის მერვე სკოლის დირექტორად დიდხანს მუშაობდა.

ზემოთ ვთქვით, ბატონი მირიანი დღესაც ჩვენი მშვიდობისთვის, აფხაზეთის დაბრუნებისთვის იბრძვისო. დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ბრძანა, რომ სხვა ომგადახდილებთან ერთად აპირებს შეხვდეს მოსკოვში მცხოვრებ აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს, ძველ პარტიულ მუშაკს **კოტე ოზგანს**, რომელსაც თურმე შემოუთვლია, ძველი შეცდომები გამოვასწოროთ, აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების გზები ერთად დავსახოთო. ცდა ბედის მონახევრეა. ამ საქმეში დიდი წარმატება ვუსურვოთ მხცოვან პედაგოგს.

ასევე ვუსურვოთ **მირიან ჯალაღონიას**, სანამ არ მოწყინდება, იმდენ ხანს სიცოცხლე!

ბორის მიშველაძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს:
“საქპრესა” _ გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518,
“მაცნე” _ საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

კომფორტული სწავლების ტრიუმფი

პირველი გვერდიდან

მონაწილეობა მიიღონ ამერიკაში გამართულ ნებისმიერ მათემატიკურ ოლიმპიადასა თუ კონფერენციაში. აღნიშნული საზოგადოებების ეგიდით გამართულ ღონისძიებებში მიღწეული წარმატება ჩვენს მოსწავლეებს ეხმარება, მოიპოვონ დაფინანსება და სწავლა განაგრძონ ამერიკისა და ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებში.

სკოლას უკვე ჰყავს 2015 წლის პირველი სტუდენტი – **სალომე გუდიშვილი**, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში – Pade University ჩაირიცხა და მოიპოვა მაქსიმალური სტიპენდია.

სკოლაში წელიწადში ორჯერ იმართება ინგლისური ენისა – GEO და მათემატიკის ოლიმპიადები – MATH. ექვსი საუკეთესო მოსწავლე ყოველ კლასში ჯილდოვდება სასწავლო გრანტით.

სკოლაში ფუნქციონირებს საშაბათო სკოლები. მოსწავლეები ინგლისურ ენასა და მათემატიკაში მეცადინეობენ დამატებითი გაძლიერებული პროგრამით.

ჩვენი სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კემბრიჯის საერთაშორისო დონის სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებასა და გამოცდის ჩაბარებას. წლის ბოლოს მოსწავლეები მიიღებენ ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატებს.

ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის პრიორიტეტია ინგლისური ენისა და მათემატიკის გაძლიერებული და საფუძვლიანი სწავლება (იხ. ვებგვერდი: www.gahs.edu.ge).

ჩვენი სკოლის მისიაა აღზარდოს წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული პიროვნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში. კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ სკოლაზე, თუმცა, რაც ითქვა, ისიც მისი ტრიუმფის ნათელი დადასტურებაა.

დასკვნა ერთია: მაღალორგანიზებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით ქართულ-ამერიკული უმაღელსი სკოლა წინ მიდის და ცოდნის მწვერვალებს იპყრობს.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

სალომე ტეფნაძე,
ადმინისტრაციული მენეჯერი

გასაოცარი გაცისკროვნება

ბევრი ვიფიქრე ამ სტატიის სათაურზე. დირექტორის დასახასიათებლად დაწერილი ბარათებიდან თვალში მომხვდა პედაგოგ **ლელა გოგოლაძის** ნაწერის სათაური, მომეწონა იგი და დავესესხე.

ამ სკოლის დირექტორს დავითი რომ ერქვას ვიტყოდი, აღმაშენებელია-მეთქი. რადგან თენგიზი ჰქვია, სკოლების ამღორძინებელ-დამამშვენებლად უნდა მოვნათლო. სასაუბროდ მის კაბინეტში შეკრებილი მასწავლებლები დამეთანხმნენ. ნავაროს „ენდიაის“ გამოკითხვას თუ დავუჯერებთ, ბატონ თენგიზს ნდობის მანდატი განაღდებული აქვს.

„პოლიტიკურ ზეწოლად“ არ ჩამითვალონო და დირექტორი კაბინეტიდან გავიდა, მარტო დამტოვა სასაუბროდ პედაგოგებთან. ყველამ ერთხმად აღნიშნა დირექტორის „საქმენი საგმირონი“. ერთმა უფრო გულწრფელად, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით, თქვა: თვითონ არ ისვენებს და არც ჩვენ გვასვენებსო.

ამ წელიწადნახევარში დირექტორის ღვაწლის დაფასებაა: **ლია ზურაბიშვილის** ლექსი „ჩვენი სკოლა 106-ე“ (თუ სურვილი ექნება, ჩვენ ადგილს დავუთმობთ მის ლექსებს), **ნანი ჭანტურიას**, **ლელა გვაზავას**, **ცირა ბახტაძის**, **ნაზი სეთურიძის**, **მარეხ მაჭარაშვილის**, **შორენა იმედაიშვილის** და სხვათა შთაბეჭდილებები.

ზემოთ ვთქვით, სკოლების ამღორძინებელ-დამამშვენებელიო. დიახ, მართალია, მაშინ დირექტორად არ მუშაობდა, მაგრამ ბატონმა თენგიზმა დედაქალაქის მე-5 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად ბევრი ოფლი დაღვარა. შემდეგ მკაცრ კონკურსში გაიმარჯვა და გლდანულაში 59-ე საჯარო სკოლის დირექტორად დანიშნეს.

ცხინვალის ომში დაბომბილს ჰგავდა ის სკოლა, გაპარტახებული, ეზო გავერანებული. იულიუს კეისარს ეკუთვნის ჩინებული ფრაზა: „მიველ, ვნახე, გავიმარჯვე“. **თენგიზ გულორდავა** მივიდა, ნახა, ფენიქსებრ ააღორძინა ის სკოლა. შეუდგნენ ნორმალურ პირობებში მუშაობას და აი, ბედის ირონია: „განა ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ რაღაც შარი მოსდეს, „მკლავი მოჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“, ხუთი წელი ბატონმა თენგიზმა უსამართლობის საშინელი სტრესი გადაიტანა და... ბოლოს სამართალმა პური მაინც ჭამა... გამობრძმედილი, შემოქმედი, დაუღალავი პედაგოგი უკვე მეორე წლია თბილისის 106-ე სკოლას თავკაცობს. აქაც ისეთივე ვითარება დახვდა. აქაც მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა.

ერთი დღე 106-ე თბილისის საჯარო სკოლაში

თენგიზ გულორდავა ლამაზად ხუთი შვილის, ამდენივე შვილიშვილის გამზრდელი დირექტორია. თბილისში კიდევ ერთი დირექტორი მეგულება ხუთი შვილის ლამაზად გამზრდელი. იგი სოხუმიდან დევნილი მე-10 სკოლის დირექტორი **ბელა ხუბუტია** გახლავთ. – გაგონილს დანახული სჯობსო, – ამბობს დირექტორი და მეგზურობას მიწევს.

სკოლას ერთი ჰექტარი მწვანედ მოშრიალე ეზო ამშვენებს. „მწვანე აქციის“ დროს აქ 200-მდე ახალი ნარგავი ჩაუყრიათ.

მეორე გვერდიდან

ყველაზე საოცარი მაინც დაწყებითი კლასებისთვის ცალკე გამოყოფილი შენობაა. შეხვალ და... „ეს თვალები რას ნახავენ სხვა უკეთეს სანახავსა!“ ცეროდენების (I-IV კლასების) სასწავლო ოთახები ესთეტიკურ ტკბობას მოგანიჭებთ. გავესაუბრეთ ყოველი კლასის პედაგოგს. დერეფნები? არ ვიცი, იგი მერამდენე საოცრებაა. კონტრასტისთვის პატარა, გაურემონტებელი კუნჭული საექსპონატოდ შემოუნახავთ. დაელოცოს მარჯვენა დერეფნების მომხატველ ოსტატს **დავით ასლანიშვილს!** აი, პანოები, პანორამები, პეიზაჟები. ბავშვების საყვარელი პერსონაჟები თითქოს ზღაპრებიდან გადმოსულან და დერეფნებში დააბოტებენ. საოცარი ფანტაზიის პატრონია ჩვენი დირექტორი. ეს რამ მოაფიქრა? თბილისის ვერცერთ სკოლაში ვერ ნახავთ. ორიგინალური „ლუსტრა“ – 106-ე სკოლა, 0-ის მაგივრად ცეცხლოვანი გულია ჩასმული და ქვემოთ ოცდაცამეტი ანთებული ასო-სანთლით მლოცველი ბრძენი იაკობი... ეს ხომ სიმბოლოა ქართული სულისა, ზეიმია „დედა ენისა!“

დროა სტატისტიკის ენით მსჯელობაზე გადავიდეთ. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, სამედიცინო კუთხე, მშვენიერი ცენტრალური გათბობა... და ეს ყველაფერი, ეს ინფრასტრუქტურა მონესრიგდა სულ წელიწადნახევარში. პედაგოგები თავიანთ ბარათებში ხაზს უსვამენ დირექტორის მეგობრულ, კოლეგიალურ, კომუნიკაბელურ, ჰუმანურ თვისებებს.

ძლიერი პედაგოგები ჰყავს სკოლას – გამოცდილნი, შემოქმედნი. დირექტორს აქტიურად უდგანან მხარში და სკოლის წარმატებას განაპირობებენ: დირექტორის მოადგილე, გამოცდილ-ენთუზიასტი პედაგოგი **ნაზი სეთურიძე**, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე **ნანი ჭანტურია**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ცირა ბახტაძე**, მოსწავლეთა თვითმმართველობის სპიკერი **მარი მაკასარაშვილი**.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მაღალ შედეგებზე არის ორიენტირებული საგნობრივი კათედრების საქმიანობა. ნაყოფიერად მუშაობენ კათედრის ხელმძღვანელები: **ლია ზურაბიშვილი** (ქართულის კათედრა) წევრები: **თეო ჯავახიშვილი, ნინო ხაჩიძე, ლეილა გაგუა, მ. ბულაძე** (მათემატიკა) წევრები: **ასმათ გურული, მანანა ნეფარიძე, თამარ ღამბაშიძე, მარეხ მაჭარაშვილი**.

მ. ცხადაძე (უცხოური ენები), წევრები: **ნონა ყაჯრიშვილი, ლალი ადამაშვილი, ლელა გოგოლაძე, დარეჯან კონტრიძე, ნანა ტაბატაძე, ლ. ხატიაშვილი, მ. ოქრუაშვილი**.

საზოგადოებრივი მეცნიერებები: **ნელი ჩოჩიშვილი** (ხელმძღვანელი), წევრები: **ცირა ბახტაძე, ნანი ჭანტურია, ლელა ნაყოფია, მარინე ასლანიშვილი**.

დაწყებითი კლასების კათედრა: **ხათუნა გასიტაშვილი** (ხელმძღვანელი), წევრები: **ლელა გვაზავა, შორენა იმედაიშვილი, ლია გასიტაშვილი, რიტა ყიფშიძე, ფატი სამნიაშვილი, მარინე კუპატაძე, დოდო გურგენიშვილი**.

საბუნებისმეტყველო: **დ. წულაია** (თავმჯდომარე), წევრები: **ჟუჟუნა ხურციძე, თამარ შუბაშვილი, მარეხ მაჭარაშვილი**.

ესთეტიკური აღზრდა-ხელოვნების კათედრა: **ლიანა მიქელაძე** (ხელმძღვანელი), წევრები: **მანანა ბაბუნაშვილი, ავთანდილ დარახველიძე, ნარგიზ ფერაძე, იამზე სიჭინავა, მარინე ქურციკიძე**.

ყველა კათედრას ჰყავს თავისი საამაყო აღმზრდელი, ოლიმპიადებში, კონკურსებში, სხვა ღონისძიებებში გამარჯვებული მოსწავლეები, აი, თუნდაც: **ანა კაჭკაჭიშვილი, მარი მაკასარაშვილი, ნუნი ნოზაძე, შოთა დევნოზაშვილი, სოფი ქოქაშვილი, ანა აფრიაშვილი, ანი ბერიაშვილი, გია ბერელიძე, ზურაბ სირაძე** და მრავალი სხვა. ლიტერატურული კლუბი უშვებს მხატვრულ ჟურნალს **„ბუხარი“**, რომელიც, „ძალიან გამხიარულდა, გულჩათხრობილი არ არის“.

მეტად პოპულარულია: ცეკვის, ხალხური საკრავების, სახვითი ხელოვნების, მუსიკის სტუდიის, გახანგრძლივებული წრეები. ქებას იმსახურებს საინფორმაციო მენეჯერის **ნინო ჯავახიშვილის**, ექიმ, **თეონა ჭიღლაძის** მონდომებული მუშაობა.

ორი მე-12 კლასი დაემშვიდობება მალე მშობლიურ სკოლას და დაუვიწყარ დამრიგებლებს: **დარეჯან კონტრიძეს** და **მანანა ბაბუნაშვილს**. **მარინე კუპატაძის** და **დოდო კალანდაძის** ცეროდენები დატოვებენ პირველ მასწავლებელს და მე-5 კლასში გადასკუპდებიან.

დირექცია კმაყოფილია მანდატურების: **ლელა ხელიძის, მაკა ბიწაძის** და **აჩიკო გირკელიძის** კეთილსინდისიერი მუშაობით. ისინი ხომ სკოლის უსაფრთხოებისა და მტკიცე დისციპლინის დაცვის ფორპოსტზე მტკიცედ დგანან.

გალაკტიონი წერდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველიო“. ჩვენც ბევრი რამ კარგი დაგვრჩა უთქმელი ამ აღორძინებული სკოლის ნიჭიერ მოსწავლეებზე, შემოქმედ პედაგოგებზე. შემდეგისთვის იყოს!.

ახლა კი ერთი დღის შთამბეჭდავი შთაბეჭდილებებით დავემშვიდობოთ 106-ე სკოლას. შემოქმედ დირექტორს **თენგიზ გულორდავას**, ასევე დიდებული პედაგოგების ძალისხმევით აღორძინებული სკოლა მალე გაბრწყინდება და ჩადგება წარმატებულ, სახელოვან სკოლათა რიგებში.

ბორის მიშველაძე

გაუმარჯოს წიგნიერ თაობას!

მიზანი: კითხვის უნარ-ჩვევების აღზრდა

კომპიუტერს უდიდეს სიკეთესთან ერთად პრობლემების შექმნაც შეუძლია. დიდებსა და პატარებს ლამის წიგნი ხელიდან გაგვაგდებინოს. ერთმა მწერალმა ბრძანა: კომპიუტერი ზარმაცებისთვის, იოლად ფონს გასვლის მსურველებისთვის არის მოგონილიო. წიგნის კითხვას შრომა

სჭირდება. აგერ არ არის კომპიუტერი, შევყოფ თავს ინდაურივით და, სულო და გულო, რა და რა ინფორმაციას მოვიპოვებ თავის შეუწუხებლად. მაგრამ, – იქვე დასძინა მწერალმა, – ვერ მოესწრება კაცობრიობა, რომ კომპიუტერმა წიგნი, ჟურნალი, გაზეთი გააძევოს. ილიაც ხომ წერდა: „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეაო“.

კულტურული მკითხველის, წიგნიერი ახალი თაობის აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას, განსაკუთრებით სასკოლო ბიბლიოთეკას. ეს ყველაფერი შესანიშნავად ესმით კერძო სკოლა **„ნუნუ ავაგუმაშვილის“** პედაგოგებს. მითუმეტეს სკოლას ბრწყინვალე, წიგნადი ფონდით მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს.

ამას წინათ ამ თემას მეტად ემოციური, საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა, რაზეც მოგვითხრობს თავის ჟურნალისტურად დახვეწილ წერილში სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში **თეა აბუთიძე**. გთავაზობთ მის სტატიას.

***

დღეს ჩვენს სკოლაში ძალიან საინტერესო ღონისძიება გაიმართა დევიზით: **„ჩვენ წიგნის მეგობრები ვართ“**. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი დაეთმო უკვე ჩატარებული კონკურსის მონაწილეთა დაჯილდოებას. სკოლის ბიბლიოთეკამ მისი ხელმძღვანელის **სვეტა კონჯარიას** ინიციატივით სასწავლო წლის დასაწყისში გამოაცხადა კონკურსი და სწორედ დღეს გამოვლინდნენ გამარჯვებულები ორ ნომინაციაში. პირველი „საუკეთესო მკითხველი“ გაიმარჯვეს: პირველკლასელმა **ნანა არჯევანიძემ**, მეორეკლასელმა **თეა გაგუამ**, მეოთხეკლასელმა **ეკა გაბელიამ**, მეექვსეკლასელმა **ირმა შავლაძემ** და მეთერთმეტეკლასელმა **ციური ცერცვაძემ**. „საუკეთესო მკითხველი მოსწავლის“ ნომინაციაში ასევე გაიმარჯვეს: მეხუთეკლასელმა **მარი არაბულმა** და მეთერთმეტეკლასელმა **მათე ფიცხელაურმა**. როგორც საუკეთესო მკითხველ კლასებს, ასევე ინდივიდუალურად მოსწავლეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები (რა თქმა უნდა წიგნები) და დიპლომები.

დაჯილდოების ცერემონიალის დასრულების შემდეგ ჩვენმა პატარებმა (I, II და IV კლასები) წარმოადგინეს მუსიკალური სპექტაკლი გემოვნებიანი ხელოვანების **თეა აბუთიძისა** და **თეა არზიანის** ხელმძღვანელობით. მოსწავლეებმა ჩვეული ოსტატობით, ნიჭიერად გააცოცხლეს სხვადასხვა ზღაპრის პერსონაჟები, საოცრად გაალამაზეს ეს მხატვრული ღონისძიება.

ჩვენი ბიბლიოთეკა ძალიან ამაყობს ამ აქტიური მკითხველებით. სკოლის დირექტორის **ნუნუ ავაგუმაშვილთან** ერთად ღონისძიებით მოხიბლულნი დარჩნენ **თეა აბუთიძე** – დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, **თეა არზიანი** – მუსიკის პედაგოგი, **ხათუნა სებისკვერაძე** – ხელოვნების პედაგოგი, რომელმაც გატაცებით იმუშავა მოსწავლეებთან. სწორედ მათი ნამუშევრებით გაფორმდა ჩვენი მუსიკალური დარბაზი. ეს ესთეტიკური აღზრდის კერა.

სკოლის ბიბლიოთეკა მდიდარია სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის მრავალფეროვნებით. შევსებულია სხვადასხვა გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნებით. სწორედ ჩვენი მეგობარი გამომცემლობების მუშაკები იყვნენ მონვეულები ამ მეტად ლამაზ საზეიმო შეხვედრაზე. მაგალითად, **„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“**, გამოცემლობა **„პალიტრა L“**-ის, **„ბაკმის“**, **„ინტელექტის“**, **„წიგნი ერის“**, **„ციცინათელას“**, ასევე ჟურნალ **„ლამპარის“** და გაზეთ „სახალხო განათლების“ ხელმძღვანელები, ჟურნალისტები. სწორედ მათ ფურცლებზე გაშუქდება ჩვენი სკოლის ეს ერთ-ერთი ლამაზი და გამორჩეული დღე, რომელიც როგორც სტუმრებს, ასევე მასპინძლებს დიდხანს გაყვება ცხოვრებაში ლამაზ მოგონებად.

გარდა ამისა, არ შეიძლება, არ აღინიშნოს თითოეული პედაგოგის ჩართულობა სასწავლო პროცესში. მათი დიდი დამსახურებაა ჩვენი აღსაზრდელების ასეთი წიგნიერება. მათ ნამდვილად ეკუთვნით მადლობა მთელი წლის მანძილზე გაწეული უანგარო და დაუღალავი შრომისათვის. ჩვენი მასწავლებლების არაჩვეულებრივმა ღონისძიებებმა, ღია და ინტეგრირებულმა გაკვეთილებმა მკვეთრად აამაღლეს ცოდნის დონე ჩვენს აღსაზრდელებში. ქება-დიდების **ღირსნი არიან დამრიგებლები: ლია იმერლიშვილი (III კლ.), ლელა დოლიძე (VI), მაკა არბოლიშვილი** (VII), **ია კაკაურიძე** (VIII), **ნინო ტორონჯაძე** (IX), **ნუკა ვაშაძე** (X), **ინგა ხვიჩია** (XII), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: **მზია ბაკაშვილი** და **მანანა ყაველაშვილი**, უცხო ენის პედაგოგები: **თამარ გელენიძე**, **ლანა დანელია**, **მარიკა გოგნიაშვილი**, **ნინო ქელბაქიანი**, **ლილი თულაშვილი**, **ნინო ბუნტური**. მათემატიკისა: **ეკატერინე ჭიტაძე**, **ვაჟა მანგოშვილი**, **ნატო კებაშვილი**, **თამარ იმედაძე** (დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში), ისტორიის – **ნინო ხუციშვილი**, გეოგრაფიის – **ნათია გოგიაშვილი**, ფიზიკის – **ნინო ტუხაშვილი**, ქიმიის – **თამარ დუნდუა**, ბიოლოგიის – **ანა გოგოლაური**, რელიგიის – **იათამზე წილოსანი**, სპორტის – **თამაზ ჯავახიშვილი**, ჭადრაკის – **ვახტანგ მორჩილაძე**, ინფორმატიკის – **მაგდა სამხარაძე**. ასევე ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: **ნინო ტორონჯაძე**, **ნუკა ვასაძე**, **ინგა ხვიჩია**, **ვაჟა მანგოშვილი**, **ეკა ჭიტაძე**, **ნატა კეპაშვილი**, **ნინო ხუციშვილი**, **ნათია გოგიშვილი**, **ნინო ტუხაშვილი** და სხვები.

ამ პედაგოგების ღვაწლია, რომ ამდენი ნიჭიერი და სწავლაში წარჩინებული ახალგაზრდა გვყავს. ამ ღონისძიებიდან გამომდინარე ჩვენი სკოლის მოსწავლეებს ვერასოდეს ვერავინ მოიხსენიებს შეურაცხმყოფელი ეპითეტით „უწიგნური“. პირიქით, წიგნიერი, ნაკითხი, განათლებული მამულიშვილები გამოვლენ „ნუნუ ავაგუმაშვილის“ სკოლიდან. ჩვენთან ძალზე თბილი ოჯახური გარემოა. სკოლას უკვე ოცწლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს და ამ ხნის მანძილზე მის კედლებში უამრავი წარმატებული და ღირსეული მოსწავლე აღიზარდა, რაც, სწორედ რომ, დირექტორის **ნუნუ ავაგუმაშვილისა** და შემოქმედი პედაგოგების დამსახურებაა.

თეა აბუთიძე,
დირექტორის მოადგილე
აღმზრდელობით დარგში

დედამიწის დღე – პრობლემებითა და მოსწავლეთა საფიქრალით

დღეს, ტექნოკრატიისა და გლობალური დათბობის ეპოქაში, როცა დედამიწის მთელი მოსახლეობა ფიქრობს, როგორ გადაარჩინოს დიდი საერთო სახლი, ბუნებრივია, ვერც ჩვენ, ქართველები ვიქნებით გულხელდაკრეფილნი. პრობლემებზე დაფიქრება და ავკარგის გათავისება თითოეული მოქალაქის ვალია, მათ შორის მოზარდებისაც. სწორედ ამიტომ გახდა აქტუალური ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 22 აპრილს დედამიწის დღის აღნიშვნა.

ეს დღე 1970 წელს სენატორმა გეოლორდ ნელსონმა დააარსა მას შემდეგ, რაც სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობის დაღვრამ ოკეანის ბინადართა მასიური განადგურება და გარემოს დაბინძურება გამოიწვია. ყოველწლიურად ამ დღის აქციაში 17000 ორგანიზაცია და მილიონობით ადამიანი ერთვება.

ამ უმნიშვნელოვანეს აქციას ორგანიზებულად, გონივრულად მომზადებული კონფერენციით შეუერთდნენ რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგ **შორენა ბეჟიტაშვილის** ხელმძღვანელობით.

ღონისძიება სკოლის დიდ სააქტო დარბაზში ჩატარდა და უამრავი მოსწავლე-მასწავლებელი დაესწრო.

დარბაზში დიდ ეკრანზე ვიდეოკადრებით გაშუქდა და სინქრონულად მოსწავლეთა კომენტარებით საინტერესოდ, ამომწურავად წარმოჩინდა თემები:

1. „მსოფლიოს ხე-ტყე – ბუნებრივი რესურსი“, რომელიც მე-X^ა კლასელმა მოსწავლეებმა **მარიამ ბუჩუკურმა** და **თამილა მაქაძემ** წარმოადგინეს ფრიად დამაჯერებელი და ორიგინალური თხრობით.

2. „გლობალური დათბობა და სითბური ეფექტი“ – ეს თემა აირჩიეს აუდიტორიასთან წარსადგენად იმავე კლასის მოსწავლეებმა **მარიამ შაორშაძემ**, **მირანდა ტარტარაშვილმა** და **გვანცა ლომინაშვილმა**. შემზარავი ფაქტებისა და მოვლენების ამსახველი კადრების მიუხედავად, თემის ავტორებმა პოზიტიური მოსაზრებებით დაამშვიდეს აუდიტორია და ტაშიც დაიმსახურეს.

ღონისძიების ეკრანული ჩვენების ესთეტიურ ნაწილად იქცა თემა – „სტალაქტიტები და სტალაგმიტები“, რომლის გაჩენის, არსებობისა და სამომავლოდ არსებობის შესახებ დამაჯერებლად ისაუბრა მე-X^ა კლასელმა **გიორგი ფხალაძემ**.

დიანა თედორაძემ და **მარიამ ჩუტკერაშვილმა** ამომწურავად გააშუქეს თემა – „გამონაბოლქვი CO^2“ და განსაკუთრებული ყურადღება შესაბამისი კადრების მოხმობით მშობლიურ ქალაქ რუსთავზე გაამახვილეს.

დაბოლოს, „ნაგავსაყრელები და პრობლემები“ ამ თემასთან დაკავშირებით არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში ღელავენ ადამიანები. მოსწავლეების **მარიამ ტალახაძის**, **ელენე მაისურაძის**, **ნინო ჯაფიაშვილის** მიერ წარმოდგენილმა პრაქტიკულმა თემამ სერიოზული რეაქცია გამოიწვია აუდიტორიაში.

პრობლემის სიღრმემ ბევრი კითხვა გააჩინა, კითხვამ – ფიქრი, განწყობა და ემოცია, რაც, ბუნებრივია, ღონისძიების ავტორთა ჩანაფიქრი და მიზანი იყო.

დიახ, დღეს თითოეული მოქალაქის ვალია, უფრთხილდებოდეს დედამიწას იქ, სადაც ცხოვრობს და შრომობს, სადაც არსებობს, ზოგადად. და ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია სისუფთავე, წესრიგი და მეორადი ნარჩენების გონივრულად დამუშავება-გამოყენება.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კლასის დამრიგებლის, პედაგოგ **ნათია ალექსიძის** მეორეკლასელებმა, რომელთაც მცირე მოცულობის პოეტური ნაწარმოებებით გაახალისეს აუდიტორია.

ყველაზე სახალისო და ლამაზი ამ აქცია-ღონისძიებაში ჯეო-არტის მიერ მშვენივრად შესრულებული სიმღერა „ნანატრი მიწის სურნელი“ იყო, რომელსაც მთელი დარბაზი ეხმიანებოდა.

ღონისძიება შეფასდა სკოლის დირექციის მიერ, ხაზი გაესვა თემის აქტუალურობას და მოსწავლეთა დაინტერესებულობას ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქციისადმი.

პედაგოგმა **შორენა ბეჟიტაშვილმა**, რომელიც ამ სკოლაში 9 წელია მუშაობს, დაადასტურა, რომ ასეთი კონფერენციის ჩატარებას თვითმიზანი და ამბიციურობა კი არ განსაზღვრავს, არამედ სასწავლო-საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიზნები, რათა ყველამ ერთად გავითავისოთ მიღწევებიც და გადაუჭრელი პრობლემებიც. ეს მოკრძალებული, მოსწავლეებისთვის საყვარელი პედაგოგი, ისე დამთავრდა ღონისძიება, რომ აუდიტორიასთან არც კი გამოჩენილა, სამაგიეროდ, მისმა მოსწავლეებმა აჩვენეს, რა ბევრი რამ იციან. ღონისძიების უშუალო მონაწილე და კოლეგის პარტნიორი იყო სკოლის კომპიუტერული მენეჯერი – **თეა გუჯაბიძე**. კონფერენცია დამთავრდა, კონფერენცია გრძელდება. ჩვენი სკოლა ასეთი საერთაშორისო აქციების ყოველდღიური მონაწილე იქნება პრაქტიკულად. ასეთი დასკვნა გააკეთა სკოლის დირექტორმა **ლელა ახალაიამ**.

პროექტი – შინაურ ცხოველებზე

რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის პედაგოგები კარგა ხანია უკვე, რაც ერთმანეთს ახალი სასწავლო პროექტების განხორციელებით უწევენ ღირსეულ პარტნიორობას. აქ ორიოდე დღის წინ უჩვეულო განწყობა ჰქონდათ მეორეკლასელებს. მათ სტუმრად სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიაანის II საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგი **ლია ნადირაშვილი** და ამ სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ. სტუმრებისა და მასპინძლების შეხვედრას განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდა.

ქართულსა და ბუნებაში სასწავლო პროგრამით ისწავლება რა ცხოველები, მეორეკლასელთა პედაგოგმა **ნათია ალექსიძემ** გადაწყვიტა მეგობრობის ხიდი გაედო სოფელსა და ქალაქს შორის და ყველას ერთად ჩაეტარებინათ გაკვეთილი თემაზე: **„შინაური ცხოველები“**. კლასის ყველა მოსწავლე აქტიურად ჩაერთო პროექტით გათვალისწინებული მასალის მოძიებაში – გამოცანები და ანდაზები ცხოველებზე, ლექსები და მოთხრობები მათ მოვლა-პატრონობაზე, თითოეული ცხოველის დახასიათება, კიდევ უამრავი სხვა თემა გაშუქდა გაკვეთილზე არა მხოლოდ ვერბალურად, არამედ ნახატებით, სიმღერებით, ეკრანულად.

მეორეკლასელებმა პროექტის მომზადებისას უამრავი რამ ისწავლეს, გარდა ამისა, მოძიებული მასალით შექმნეს ე. წ. ენციკლოპედიური წიგნი (ტექსტებითა და ნახატებით) შინაურ ცხოველებზე, რომელსაც მშობლიურ სკოლას დაუტოვებენ სახსოვრად.

სტუმრებმა ნუკრიაანიდან შეავსეს და გაამდიდრეს გაკვეთილი სუბიექტური მოსაზრებებით, ისაუბრეს სოფლელი ბავშვების დამოკიდებულებაზე ცხოველებთან.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ – ყველამ ერთად დაათვალიერა ე. წ. აკადემიური ქალაქი შევჩენკოს ქუჩაზე, სადაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრის ყველაფრით სრულყოფილი ბაზა მუშაობს ყველა საფეხურის მოსწავლისათვის. გოგო-ბიჭებმა იხალისეს სპორტულ დარბაზში, ივარჯიშეს ტრენაჟორებზე, ნახეს ახალი მერხები, დაათვალიერეს ამ ეზოში ნამდვილი დიდი თვითმფრინავი, ბოლოს მცირე წვეულებაც გამართეს, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გადაწყდა, რომ მომავალში ნუკრიაანელები თავად უმასპინძლებენ რუსთაველ მოსწავლეებს და მეგობრობაც გაგრძელდება.

ღონისძიების მონაწილე მშობლებმა, სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა და პედაგოგებმა ყველამ ერთად სიამოვნებით აღნიშნეს, რომ ეს ორიგინალური გაკვეთილი მხოლოდ ცოდნის და განსაკუთრებული უნარ-ჩვევების დაუფლების გაკვეთილი არ იყო.

იაკობ გოგებაშვილის მედალოსნის, გამოცდილი პედაგოგის **ნათია ალექსიძის** პროექტი მიზნად უფრო მთავარს ისახავდა: დღეს, როცა ასე აქტუალური გახდა მთელს ჩვენს ქვეყანაში ცხოველთა მოვლა-პატრონობა, მათი კანონზომიერი გამრავლება, ზრუნვა და მეთვალყურეობა, რაღა თქმა უნდა, ამ პრობლემის არსის წვდომას მცირე ასაკიდანვე უნდა ახერხებდნენ პატარები. მათ ბავშვობიდანვე უნდა ჰქონდეთ გათავისებული შინაური ცხოველების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებები, რადგან ცხოველების გარეშე წარმოუდგენელი იქნება ადამიანების არსებობა. „– ჩვენ ადამიანებს – კანონი გვიცავს, ცხოველებს კი – ჩვენ და წითელი წიგნი უნდა ვიცავდეთ!“ – ასეთი სლოგანი შეიმუშავეს პატარებმა და თავიანთი კლასის შთაბეჭდილებათა წიგნშიც თავიანთი მცირე მოსაზრებები ჩაწერეს.

...**ნათია ალექსიძე** კი, რომელიც, ვინ იცის, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, მერამდენედ ატარებდა ასეთ საჩვენებელ გაკვეთილს, თავისი მოსწავლეების სიხარულით ხარობდა და ბედნიერი განწყობით ეფერებოდა თითოეულს. იგი რუსთავის განათლების სისტემის წარჩინებული პედაგოგია და თავად ხელმძღვანელობს ბევრ სასიკეთო წამოწყებას ქალაქის საგანმანათლებლო სივრცეში.

წიგნითა და წიგნიერებით

რუსთავის საბიბლიოთეკო ქსელი უამრავი ბიბლიოთეკით, მაღალპროფესიონალი ბიბლიოთეკარებით და წიგნის მდიდარი ფონდით რუსთაველებისთვის თავმოწონების საბაბია. აქ, როგორც წლების წინ, ისევ მრავლდება მკითხველი, ისევ სავსეა სამკითხველო დარბაზები წიგნით და პერიოდული გამოცემებით დაინტერესებული ადამიანებით, ისევ იმართება უამრავი საინტერესო ღონისძიება... შემთხვევითი არ არის, რომ ბიბლიოთეკებს რუსთაველებმა ოაზისები შეარქვეს, სადაც ათასი პრობლემით შეჭირვებულნი, ნამდვილად იბრუნებენ სულს.

და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, კომპიუტერით ასე თავმობეზრებულ ეპოქაში, საბიბლიოთეკო ქსელს, ძირითადად მოსწავლეები და ზოგადად, განათლების სისტემის მუშაკები აკითხავენ.

ბოლო ერთი კვირის მანძილზე ჩატარებულ ბიბლიოთეკის ტრადიციულ კვირეულში ქალაქის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეები ჩაერთვნენ. სხვადასხვა ღონისძიებები ქსელის ყველა ბიბლიოთეკაში ჩატარდა თვით მოსწავლეთა სურვილებისა და ინიციატივების გათვალისწინებით.

კვირეულის საინტერესო დღედ იქცა ღონისძიების დახურვა, რომელსაც გუბერნიის, ქალაქის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საღამოს საბიბლიოთეკო ქსელის ხელმძღვანელი **თეა ჟვანია** უძღვებოდა. აღინიშნა, რომ გასული წლის განმავლობაში 111 პროექტი და ღონისძიება ჩატარდა ყველა ობიექტში. პროექტები:

გაგრძელება მე- 6 გვ.

ეროვნული ცნობიერებისათვის

რუსთავის კერძო სკოლა „მზეკაბანში“ ქართული ენის კვირეულის ჩატარება უკვე ტრადიციად იქცა და იგი მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად. წლიდან წლამდე კვირეულის ღონისძიებები იხვეწება და უფრო მეტ მონაწილეს იძენს. ტრადიციაა ისიც, რომ კვირეულს პროფესიით ფილოლოგი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში **ლამარა ბარბაქაძე** უწევს კოორდინირებას ისეთ მაღალორგანიზებულ და ესთეტიურ დონეზე, რომ ყველა აღფრთოვანებული რჩება.

კვირეულს უპირველეს ყოვლისა სასწავლო-საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს და სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს, ისეთს, რომელშიც აქტიურად ერთვებიან პედაგოგებიც და მოსწავლეებიც და სხვათა შორის, პედაგოგთა პროფესიული განსხვავებების მიუხედავად, კვირეულის მაღალ დონეზე მომზადებისთვის ქართული ენის კათედრასთან ერთად მთელი სკოლა ზრუნავს.

20-დან 25 აპრილამდე ყოველი დღე საინტერესო იყო. ქართული ენის კვირეული საზეიმოდ სკოლის სააქტო დარბაზში გაიხსნა. იქ, სადაც წინასწარ გამოიფინა თემატური კედლის გაზეთები, ფოტოკადრები, ამონარიდები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, კალიგრაფიული ნიმუშები და რაც ყველაზე მთავარია, ცალკე თაროზე საგანგებოდ გამოიფინა მოსწავლე-მასწავლებელთა მიერ მოძიებული „ვეფხისტყაოსნის“ 37 გამოცემა...

სამეცნიერო კონფერენციაზე – „ილია ჭავჭავაძე – ქართული ენის რეფორმატორი – წარმოდგენილ იქნა 4 თემა – „ილია ჭავჭავაძე – ქართული ენის რეფორმატორი“, „მამათა და შვილთა ბრძოლა“, „ილია ქართული ენის შესახებ“, „ილია – ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებელი“, „ილია ჭავჭავაძე ენისა და მამულის შესახებ“ და დიდი გაკვეთილი. სამეცნიერო კონფერენციის მონაწილენი იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები **ხათუნა პაქსაშვილი**, **ხატია ნადაშვილი**, **ნაირა ქავთარაძე**, მოსწავლეები **დიანა მახათაძე**, **გიორგი პაპუნაშვილი** და **გიორგი გოლოძე**.

პირველიდან – მე-8 კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს ფოტოგაზეთების გამოფენა.

„ვეფხისტყაოსნის“ კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა: **ნათია რაზმაძემ**, **სალომე მჭედლიძემ**, **ლანა ჭიკაძემ**, **ინგა კიკნაველიძემ** და **დიანა მახათაძემ**. ამავე კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა სწრაფი კითხვის კონკურსი, IX–X კლასელებმა ერთად ჩაატარეს ლიტერატურული ვიქტორინა.

22 აპრილს მე-9 კლასელებმა პედაგოგ **ხათუნა ჩილუნაძესთან** ერთად ჩაატარეს კინოგაკვეთილი თემაზე: დავით გურამიშვილის „დავითიანი“.

კვირეულის დიდი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ კითხვას, გამოცემების გამოფენას და კალიგრაფიული ნამუშევრების გაცნობას დაეთმო. მოსწავლე-მასწავლებელთა ყველაზე დიდი ჩართულობაც სწორედ შოთა რუსთაველის პოემამ გამოიწვია. პოემიდან ამონარიდები ქართულად, ინგლისურად, გერმანულად და რუსულად გაჟღერდა პედაგოგების **ლიანა ლომიძისა** და **მაკა თითმერიას** მიერ. 100 სტრიქონზე მეტი ტექსტი წაიკითხეს ღონისძიების მონაწილეებმა, რითაც ხაზი გაესვა ამ პოემის აქტუალობას და პოეზიის, როგორც ეროვნული ღირებულების, უზადოობას.

კვირეულის აპოგეად იქცა **პედაგოგ ხატია ნადაშვილის** მიერ მომზადებული მინი სპექტაკლი „ნატვრის ხე“ გოგლა ლეონიძის მოთხრობების მიხედვით. ამ თეატრალური წარმოდგენის ყველა მონაწილე მე-5, მე-6 და მე-7 კლასებიდან, შესაფერისი კოსტიუმებით და განწყობილებით, იმდენად დამაჯერებელნი და სცენურები იყვნენ, რომ აღაფრთოვანეს აუდიტორია:

– დღეს, როცა ჩვენი ქვეყნისა და ქართული ენის მიმართ ასეთ დიდ დაინტერესებას იჩენენ აქ შემოსული უცხოელებიც კი, ყველა ჩვენგანი ვალდებული ვართ, ვუფრთხილდებოდეთ, ვეფერებოდეთ და ვუვლიდეთ ჩვენს ძირძველ ენას. ჩვენი სკოლის მოსწავლეები თავად იჩენენ აქტივობას ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის, მათ მადლობის მეტი არაფერი ეთქმით, – აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა, დირექტორის მოადგილემ, პედაგოგმა **ლამარა ბარბაქაძემ**, ვისი ლიტერატურული და თეატრალური გემოვნებითაც მომზადდა მთლიანად კვირეული.

ღონისძიება შეაჯამა და ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორმა **ბელა ჯანგიძემ**. მან სიგელებითა და დიპლომებით დააჯილდოვა აქტიური მონაწილეები.

მე- 5 გვერდიდან

„წიგნისა და ბიბლიოთეკის სიყვარული თანამედროვე ინოვაციური მეთოდებით – კლასიკა და თანამედროვეობა“, „მობილური საბავშვო ბიბლიოთეკა ბავშვებისა და მოხუცებისათვის“, „მე მიყვარს წიგნი“ – სასკოლო ასაკის ზედა საფეხურის მოსწავლეებისთვის, საქველმოქმედო ღონისძიება – „სურვილების სკივრი“ ბავშვებისათვის, ინგლისური ენის კვირეულები მკითხველთან და უცხოელ მოხალისეებთან ერთად, მუდმივი შეხვედრები მწერლებთან და შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ტრენინგ-პროგრამები, საზაფხულო კითხვის კონკურსები, შეჯიბრებები, საზაფხულო ჟურნალისტიკის კურსები მოზარდებისთვის, გამოფენები, სამოქალაქო-საზოგადოებრივი კლუბების მუშაობა და უამრავი სხვ. სწორედ რომ მოზარდი თაობის წიგნიერებისთვისაა გათვლილი და ამ ყველაფრის მიღმა, რათქმაუნდა ბიბლიოთეკართა დაუღალავი ძალისხმევაა.

სააქტო დარბაზში, სადაც ღონისძიება ტარდებოდა, ვიდეორგოლებით შუქდებოდა ფაქტები და მოვლენები, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საჯარო თუ კერძო სკოლების მოსწავლე-მასწავლებლები, წიგნისმოყვარულნი, ზოგადად.

ფაქტი, რომ 2014 წელთან შედარებით 2015 წელს, შესაბამისად 4 თვის მონაცემებით, 3-ჯერ გაიზარდა მკითხველთა რიცხვი, ბევრისმთქმელია და იმასაც ადასტურებს, რომ საბიბლიოთეკო ფონდი მუდმივად განახლებული ახალი სამეცნიერო თუ მხატვრული გამოცემით, უამრავ სტუდენტსა და სპეციალისტს იზიდავს.

ღონისძიებას, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა საზეიმო ელფერი, ესწრებოდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **ციცო ჯაფარიძე**, რომელმაც თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა საბიბლიოთეკო ქსელის ხელმძღვანელის **თეა ჟვანიას** მაღალპროფესიონალიზმს, სიახლეებისადმი აქტიურ დამოკიდებულებას და ორგანიზატორულ უნარს, სტუმარმა მადლობა გადაუხადა ქსელის ყველა თანამშრომელს, ხოლო ქალაქის ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ამ დარგში მომსახურე ბიბლიოგრაფებით მთელი ქალაქი უნდა ამაყობდეს.

ღონისძიებაზე პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ფასიანი საჩუქრებით და სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვა მთავარი ბიბლიოთეკა და მისი ოთხივე ფილიალი.

წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარებად კოლეგებმა დაასახელეს **ლეილა ხარბედია**, **ელენე ბეჟანიშვილი**, **ნინო ტაბატაძე**, **ქეთევან მამულაშვილი**, **ნაზი შერმადინი**, **თამარ მესხი**, **თამარ მაისურაძე**.

ახლო მომავალში ისევ მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის გათვლილია ლიტერატურული კაფეს მოწყობა და საგანმანათლებლო ობიექტებთან ინტენსიური ურთიერთობა, რადგან წიგნისა და წიგნიერების გარეშე მომავალი თაობების აღზრდა, წარმოუდგენელია.

გაკვეთილი – ახალი სასწავლო ტექნოლოგიებით

როგორც ქართველი განათლების სისტემის მუშაკებისთვის ცნობილია სამოქალაქო განათლების ორი ვებპორტალი Civics.GE და Initiatives.GE შეიქმნა 2010 წელს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში PH internatonal-ის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

ვებპორტალის მხარდაჭერას 2014 წლიდან უზრუნველყოფს პროგრამა „მომავლის თაობა“. ვებპორტალის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო განათლების შესახებ. სწორედ „მომავლის თაობის“ პროექტში ჩართულ რუსთავის მე-6 საჯარო სკოლაში კიდევ ერთი საინტერესო გაკვეთილი ჩაატარა სამოქალაქო განათლების საგნის გამოცდილმა პედაგოგმა, პროფესიით იურისტმა, მეცნიერმა **ვაჟა ქარუხნიშვილმა**, ქვემო ქართლის რეგიონის შვიდივე რაიონის სამოქალაქო განათლების იმ მასწავლებელთა თანდასწრებით, რომლებიც ასევე ჩართულნი არიან პროექტში – X კლასელებთან ჩატარებული გაკვეთილის თემა იყო: „რას აძლევს მოქალაქე – საზოგადოებას და საზოგადოება – მოქალაქეს“. გაკვეთილი ინტეგრირებული იყო გეოგრაფიის საგანთან, რომელსაც სერთიფიცირებული პედაგოგი **ხათუნა ფიროსმანაშვილი** უძღვებოდა. წარმოდგენილ იქნა მინი ლექცია მსოფლიოს განათლების გეოგრაფიის შესახებ. კერძოდ, საქართველოს დონე და იუნესკოს განათლების ხელმისაწვდომობის შეფასების კრიტერიუმები. თემის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მე-10 კლასელები. მათ გაიაზრეს და განაზოგადეს მიღებული ცოდნა, ორგანიზება გაუკეთეს ინფორმაციას და გამოთქვეს კომენტარები.

გაკვეთილის მეორე ნაწილში სასწავლო მიზნად იქცა: მომავლის დაგეგმვა და თვითშეფასება, პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოხატვა, კვლევა და ფიქრი მომავალ პროფესიაზე, საკუთარი საქმიანობის კრიტიკულად შეფასება, ცხრილის შედგენა მიზნების მიღწევის პერიოდების გათვლით, კლასში თანამოაზრეების გამოვლენა.

მიზნების შესაბამისად განისაზღვრა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორები.

თემის სრულყოფილად გაშლისა და შესწავლისთვის 10 აქტივობა იქნა გამოყენებული. მოსწავლეებმა ერთად უყურეს ფილმიდან „სამოთხის გვრიტები“ – ნაწყვეტს და მოახდინეს სრულყოფილი ანალიზი.

დაიყვნენ ჯგუფებად და წარმოადგინეს პრეზენტაცია განათლების ყველა საფეხურის შესახებ.

იმსჯელეს საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე საზოგადოებაში.

მოსწავლეთა ჯგუფებმა წარმოადგინეს თავიანთი ხელით შექმნილი ე. წ. პროფესიული განათლების გვერდები: ჟურნალისტიკაში, მედიცინაში, იურისპრუდენციაში, პოლიტიკაში...

უყურეს ვიდეორგოლს ამერიკელი მოსწავლის **ჯეკ ანდრაკას** და თბილისელი მოსწავლის **ლუკა ირემაშვილის** შესახებ.

მოსწავლეებმა მოახდინეს თვითშეფასება ძლიერი და სუსტი შესაძლებლობების შესახებ.

მოისმინეს მინი ლექცია.

ჯგუფებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ევროკავშირის შექმნის შესახებ და 10 მითი საქართველო – ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესახებ. ისაუბრეს – რას მოუტანს ევროკავშირის ხელშეკრულება საქართველოს განათლების სისტემას.

გაიმართა დისკუსია – სჭირდება თუ არა სამშობლოს სიყვარულს განათლება და ბოლოს საგანგებოდ იქნა განხილული სულ ახლახანს გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო „როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე“, რომლის მიმართ ერთსულოვანი მოწონება გამოითქვა.

საშინაო დავალებად მოსწავლეებს მიეცა თემა: „მე, საქართველოს მოქალაქის მომავალი და ევროკავშირი“.

გაკვეთილის ბოლოს მოხდა მოსწავლეთა შეფასება.

ახალი, თანამედროვე სასწავლო-ტექნოლოგიით ჩატარებული გაკვეთილით ბევრი რამ ისწავლეს რეგიონის ქართული და არაქართული სკოლების პედაგოგებმა.

მე-6 საჯარო სკოლის მე-10 კლასელები კი იმდენად ბუნებრივები, ღრმად მოფიქრალნი და საინტერესო ორატორები იყვნენ, რომ მასწავლებლებს ნამდვილად უწევდნენ ღირსეულ პარტნიორობას.

საგანმანათლებლო რესურსებად გაკვეთილზე გამოყენებულ იქნა: ვიდეორგოლი „საქართველოს და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება“ მხატვრული ფილმი – „სამოთხის გვრიტები“ (ნაწყვეტი), წიგნი „საქართველოს გზამკვლევი“ და 10 მითი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ.

მასწავლებლებმა წალკიდან, ბოლნისიდან, დმანისიდან, თეთრი წყაროდან, რუსთავიდან, მარნეულიდან და გარდაბანიდან მადლობა გადაუხადეს სხვადასხვა პროექტებში მრავალგზის გამარჯვებულ, მაღალინტელექტუალურ პედაგოგს **ვაჟა ქარუხნიშვილს** თანამშრომლობისთვის და ხაზი გაუსვეს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა ფორუმის პროგრამის ქვემო ქართლის რეგიონულ კოორდინატორს, რუსთავის მე-15 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგს **ლია ღუღუნიშვილს** ამ გაკვეთილის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის.

სკოლის დირექტორმა **ნაირა ქარუხნიშვილმა** სტუმრებსა და მასპინძლებს მცირე მასშტაბის მოკრძალებულ წვეულებაზე მადლობა გადაუხადა ობიექტური და სუბიექტური მოსაზრებებისთვის და მიიღო გადაწყვეტილება, რომ აქტიური მოსწავლეები დააჯილდოვოს დიპლომებითა და სიგელებით.

P.S. საგაზეთო მასალის მომზადებაში დახმარებისათვის ავტორი მადლობას უხდის მე-10 კლასის თექვსმეტივე მოსწავლეს, მომავალ პოლიტიკოსებს: **ნათია ხინთიბიძეს**, **გიორგი გაიმარჯვაშვილს**, **გიორგი გამიტაშვილს**, **ლიკა ბებიაშვილს**, **ელკიდა ისმაილოვას**. მომავალ იურისტებს: **ნინო ჩიხლაძეს**, **მარი მაისურაძეს**, **ნინო ნოზაძეს**, **გიორგი ნადირაძეს**, მომავალ მედიკოსებს: **თინა გოგოლაძეს**, **გიორგი დვალიძეს**, **მაიკო ზაქარეიშვილს**, **ანა მჭედლიშვილს**. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მომავალ ჟურნალისტებს: **თორნიკე ხოკერაშვილს**, **მონიკა ჩეკნიზოვას**, **ნისა ჩეკნიზოვას**, **მიშიკო ტეტუნაშვილს** და **შალვა გიგაურს**, რომელთაც უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა ამ საინფორმაციო საგაზეთო პუბლიკაციის შექმნაში.

გვერდების ავტორი
ლია მარტაშვილი

ბედნიერია ბავშვობა თქვენი

ამ ბაგა-ბაღზე საუბარი მისი ისტორიით უნდა დავიწყოთ, თუნდაც იმიტომ, რომ დამფუძნებელი ცეროდენების ამ ზღაპრული სამყაროსი, ლეგენდარული პედაგოგი **ლალა აფაქიძე** დღესაც ჭაბუკური გატაცებით აქ ტრიალებს. იგი იმ პლეადის სახელოვანი წარმომადგენელია, როგორიც არიან: **ნელი კეპულაძე**, **მაყვალა ჩუბინიძე**, **ზაირა კურტანიძე**, **თინა მაისურაძე** და მრავალი სხვა.

– ოცდაათი წლის წინათ, აქ ჯანდაცვის სამინისტროს ბარაკის ტიპის ბაგა იყო განთავსებული. ორი კინკილა ხე იდგა. **ლალა აფაქიძის** თავდადებით ორსართულიანი შენობა აიგო, ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა და დღეს ტანაშოლტილი ნაძვებიც შრიალებს, ეზო სპორტული სათამაშოებითაა გაჯერებული, შიგნით ყველგან თოჯინები იცინიან, ოთხის მაგივრად ცხრა ჯგუფია.

ახლახან „მწვანე აქცია“ ჩავატარეთ, ბაღის ეზო 16 ნარგავით შევავსეთ, – ამბობს ქალბატონ ლალას ღირსეული მემკვიდრე, დირექტორი **თამარ გობეჩია**, თამარი ამ ბაგა-ბაღისთვის ზედგამოჭრილი ხელმძღვანელი გახლავთ – პედიატრსა და პედაგოგზე უკეთეს დირექტორს ბაგა-ბაღისთვის ვინ ინატრებს? ცეროდენებზე უზომოდ შეყვარებული თამარი, სამი შვილისა და ოთხი შვილიშვილის აღმზრდელი, ალერსიანი, ტკბილმოუბარი, თანამშრომლების კეთილი მეგობარია.

ცეროდენების აღზრდა-სწავლებისთვის აქ ბრწყინვალე პირობებია შექმნილი, ამიტომაც მივმართავთ მათ: ბედნიერია ბავშვობა თქვენი.

30 წლის დირექტორად ნაღვაწი **ლალა აფაქიძე** თავის მდიდარ გამოცდილებას უშურველად უზიარებს აღმზრდელებს. და სხვა თანამშრომლებს, საგანმანათლებლო პროგრამების სანიმუშო კოორდინატორია (მეთოდისტი). მერიის ბაგა-ბაღების სამსახურის სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**, რომელიც აქ გამწვანების აქციას ესწრებოდა, დიდად კმაყოფილი დარჩა მთელი კოლექტივის მუშაობით. მართლაც რომ მეგობრულად, შემოქმედებითად, მაღალ შედეგებზე ორიენტირებულად მოღვაწე გუნდი ჰყავს ბაგა-ბაღს. საერთოდ წარმატებაში დიდი წვლილი მოუძღვის დირექტორის მოადგილეს, გამოცდილ პედაგოგს **ნინო ლომიძეს**.

დირექცია დიდად აფასებს შრომისმოყვარე, ენერგიულ სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **იზოლდა კვირიკაშვილს**. მუდამ აკურატულად მომუშავე საქმისმწარმოებლები: **მანანა კვარაცხელია** და **დარეჯან ჩიტიშვილი** ბაგა-ბაღის ნამდვილი სული და გული არიან. მუდამ წესრიგში აქვთ დოკუმენტაცია და აღრიცხვიანობა.

ცეროდენების კვების, ჰიგიენის, ჯანმრთელობის საქმე საიმედო ხელშია, გამოცდილი ექთანი **როზა ავაზაშვილი** ბავშვთა უსაფრთხოების საკითხს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. თავად ექიმი და მისი კეთილმოწყობილი კაბინეტი ამის სრულ გარანტიას გვაძლევს.

ყველაზე მთავარი მაინც სწავლა-აღზრდა და ნორჩებში უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაა. ამ მხრივ კი ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფს. ნიჭიერთა დაკვალიანებას, მომავალი თაობის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული, გატაცებით მოღვაწე აღმზრდელთა ძალისხმევა. ამიტომ იზრდება აქ ასე მრავლად ნიჭიერი, ჭკვიანი, შემოქმედებითი აქტივებისკენ მიდრეკილი ცუგრუმელები: მომავალი მომღერლები, მხატვრები, მოცეკვავეები, მოაზროვნენი. ბავშვთა მეტყველების კულტურის დასახვეწად ბევრს მუშაობს ლოგოპედი ***ლეილა ძლიერიშვილი***.

და აჰა, ნორჩების სულთა გამფაქიზებელნი, მათი ხელოვნების სიყვარულით აღმზრდელნი, ბაგა-ბაღის ცხოვრების გამხალისებელნი მუსიკის პედაგოგები: **ნელი ჩიტაძე** და **ქეთევან გულიაშვილი**, ცეკვის მასწავლებლები: **თინა ქარქაშაძე** და **მედეა მებონია**. მადლობა თქვენ, ცუგრუმელების გულის გამხარებელნო, ყველა ზეიმ-კონცერტის სულისჩამდგმელებო, რომ ასე ალამაზებთ ბაგა-ბაღის ცხოვრებას.

ღმერთმა დაგლოცოთ, 172-ე ბაგა-ბაღელებო!

და მაინც ყველაზე დიდი მადლობა ბავშვებზე თავდადებით მზრუნველ აღმზრდელ-პედაგოგებს, მათ თანაშემწეებს: **ციცინო სახვაძეს**, **ნანი ბალაშვილს**, **ლია ივანიშვილს**, **ნინო ბოჭორიშვილს**, **ნანა დათუნაშვილს**, **თამილა ზედანიას**, **ეკა შიშნიაშვილს**, **ეკა კვარაცხელიას**, **გულნაზ მჭედლიძეს**, **თეა ლელაძეს**, **ნანა ნინიაშვილს**, **თამილა წიკლაურს**, თამაშემწეებს: **სოფო ლეკიშვილს**, **ზინა ტატანაშვილს**, **ზინა ღლონტს**, **მზია ბექაურს**, **თეა თავაძეს**, **ნატალია ჭყონიას**, **ნატალია ღვინჯილიას**, **მაია არჯაკელს**, **ინგა გუგეშაშვილს**.

დაგელოცოთ მარჯვენა! ცეროდენებო, ისევ გიმეორებთ, ბედნიერია თქვენი ბავშვობა ამათ ხელში.

დირექტორმა **თამარ გობეჩიამ** მაღალი შეფასება მისცა მზარეულების: **მარინე მანველიძის**, **ჟუჟუნა ჯიქიას**, დამხმარე **ლელა ჩიტაიას** შრომას. არა თუ ცუგრუმელებს, დიდებსაც ძალიან იზიდავთ მათ მიერ მომზადებული არომატული, ყუათიანი კერძები.

მაისს ვარდობისთვეს ეძახიან და აჰა, ისიც – სილამაზის და სიყვარულის ზეიმი! ხალისიანი განწყობილების ასამაღლებლად მოგმართავთ ალიო მირცხულავას სტრიქონებით: „მოქრის მერცხალი, როგორც შურდული, მიწას ესობა თავქვე თამაშით, ბაღში ფოთლებმა მორთეს ჟღურტული, გაზაფხულია ჩვენს ქვეყანაში!“

ვარდ-ყვავილების მეჯლისს გილოცავთ, 172 ბაგა-ბაღელებო!

ბორის ხარებავა

სითბო და ალერსი რამდენიც გინდათ

გამარჯობათ, 209-ე ბაგა-ბაღელებო!

ზემო ფონიჭალის დასახლებაში 209-ე ბაგა-ბაღი მარგალიტივით ბრწყინავს. დედაქალაქის გარეუბნის ბაგა-ბაღებს შორის იგი ერთ-ერთი საუკეთესოა. სიმწვანით დაბურულ ეზოში კოხტად ჩასკუპებულა ლამაზი შენობა. ვრცელი ეზო სპორტული სათამაშოებით არის გაჯერებული. მეტი რაღა უნდათ ცეროდენებს? მათ ხალისიან ჟივილ-ხივილს რომ უყურებ, გული სიამით გევსება და ბავშვობას ინატრებ, იქნებ წამოიძახო კიდეც: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“ შიგნით შეხვალთ და უფრო უკეთესი: ყველგან სისუფთავე, აკურატულობა, თოჯინების სიმრავლე და ზღაპრული სამყაროა.

ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, რადგანაც იგი ყოველმხრივ მოწესრიგებულია. გახარებული არიან ბავშვები. კმაყოფილი არიან მშობლები და ხომ ესაა მთავარი.

აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზეა ორგანიზებული. თანამშრომელთა შემადგენლობა გუნდური პრინციპით მოქმედებს, მათ შორის ურთიერთდაფასების, მეგობრობის ატმოსფერო სუფევს.

ბაგა-ბაღის დიდი დიასახლისი ანუ დირექტორი გახლავთ ბავშვებზე საოცრად შეყვარებული, თანამშრომლების დამფასებელი პედაგოგი **როზა კობახიძე**, რომელიც უკვე 8 წელია წარმატებით იღვწის ამ დაწესებულების გაბრწყინებისათვის.

იგი დიდი დამფასებელია წინამორბედთა ღვაწლისა. საერთოდ ბაგა-ბაღში „წარსულისადმი ნდობა-პატივის“ გაგება მაღალ რანგშია აყვანილი.

პატივს სცემენ და მადლობას უხდიან ღვაწლმოსილ, ამაგდარ პედაგოგებს. **როზა კობახიძემ** სიყვარულით ახსენა და მადლობა გადაუხადა დამსახურებისათვის ამ ბაგა-ბაღის პირველ დირექტორს **ციზარო ჭანტურიძეს**, რომელიც დღესაც მწყობრშია, აღმზრდელად მუშაობს და მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდა პედაგოგებს უზიარებს.

გავიცანით ნიჭიერი, ენერგიული, შემოქმედებითად მოღვაწე პედაგოგი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი) **ნინო გიორგაძე**. იგი ხომ აღმზრდელებთან ერთად სული და გულია ბაგა-ბაღისა. მისი ორგანიზებით მეთოდური მუშაობა მწყობრად, წარმატებით მიმდინარეობს. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში პრიორიტეტულია: მეცადინეობები, თამაშები, ღია ცისქვეშ გართობები (ზეიმს ტერმინ „გართობას“ ამჯობინებს). მაღალ დონეზე ეწყობა ბავშვთა ნამუშევრების დათვალიერება, ღია კარის დღე, მხიარული სტარტები და სხვა.

ბაღში ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი. აღმზ-

გაგრძელება მე- 8 გვ.

მეთოდური კონფერენცია

უსაფრთხო სკოლა და ინკლუზიური განათლება

განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ინკლუზიური განათლება, რომელიც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში. ამ პრობლემებს მიეძღვნა თბილისის 131-ე საჯარო სკოლაში ჩატარებული კონფერენცია თემაზე: **„თანამედროვე მიდგომების გამოყენება, ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა და გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის“**.

კონფერენციის მონაწილენი გახლდნენ 131-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოწვეული სტუმრები.

მოწვეული სტუმრების სტატუსით კონფერენციას ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს, მასწავლებლის სახლის, გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის, სამგორის რაიონის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი **ლია ჯგახველაძე** და სხვადასხვა საჯარო სკოლის წარმომადგენლები.

თბილისის 49-ე საჯარო სკოლიდან კონფერენციას ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი **ეკატერინე ცაავა**; კათედრის გამგეები: **ლეილა კიკნაძე** (უცხოური ენა), **ია ჯიქია** (დაწყებითები), **ია ოდიშარია** (ქართული ენა), **ნინო გოგუაძე** (მათემატიკა), **ნათია ცინცაძე** (საბუნებისმეტყველო საგნები), **თამარ კანდელაკი** (საზოგადოებრივ მეცნიერებათა), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მასწავლებლები: **მარიკა ჯიქია** და **რუსუდან ხოშარაული**.

კონფერენცია გახსნა 131-ე სკოლის დირექტორმა **ხათუნა ენუქიძემ**, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება თემაზე **„ინკლუზიური განათლება“**.

მან ვრცლად ისაუბრა ინკლუზიური განათლების რაობაზე, მის საჭიროებაზე, მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, რამაც აქტიური ასახვა უნდა ჰპოვოს საგაკვეთილო სივრცეში. დირექტორმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი უფლება მიიღოს განათლება ჩვეულებრივ კლასებში შესაბამისი, ინდივიდუალურ-მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებისა და სპეც-პროგრამების გამოყენებით, რომლის ნათელი მაგალითიც ამ სკოლაში მიმდინარე საგაკვეთილო პროცესებია.

ძალიან საინტერესოდ ისაუბრა 131-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ **მეგი როსტიაშვილი-წიკლაურმა** თავის მოხსენებაში თემაზე: **„წარმატებული სკოლის მახასიათებლები“**.

მომხსენებელმა ახლებურად წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მიზნები, რომელშიც კარგად არის დასახული წარმატების განხორციელების გზები. იგი აძლევს საშუალებას მოსწავლე-ახალგაზრდობას მიიღოს თანამედროვე განათლება და მოახდინოს მათი შესაძლებლობების სრული გამოვლენა, ინტეგრაცია მსოფლიო საზოგადოებაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

ამის შემდეგ პრეზენტაციის თემა **სახელწოდებით „უსაფრთხო სკოლა“** წარმოადგინა სტუმრის სტატუსით მყოფმა თბილისის 49-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **ეკატერინე ცაავამ**. თემა ერთგვარი გაგრძელება იყო წინა გამომსვლელის თემისა. იმსჯელა სკოლაში უსაფრთხო, მზრუნველ და წამახალისებელ გარემოს შექმნაზე, სადაც სტანდარტის შესრულება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორების დაკმაყოფილებით: საჯარო სკოლაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უნდა არსებობდეს ეფექტური, მზრუნველი და მოსწავლეებისათვის მასტიმულირებელი სასწავლო გარემო. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა შემუშავდეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ერთგვარად წარმატებული სკოლის მახასიათებელია.

მომხსენებლის ხედვით წარმატებულმა სკოლამ უსაფრთხოების დაცვით უნდა მისცეს მოსწავლე-ახალგაზრდობას საშუალება მიიღოს თანამედროვე განათლება, მოახდინოს მოზარდის შესაძლებლობების სრული გამოვლენა და ინტეგრაცია მსოფლიოს საზოგადოებაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. **ეკატერინე ცაავამ** განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სასკოლო დისციპლინაზე. მოსწავლეთა ქცევის მონიტორინგზე. კონფერენციის შემდგომი თემები და პრეზენტატორები ძირითადად იყვნენ 131-ე საჯარო სკოლის პედაგოგები.

„სსსმ მოსწავლეთა დარღვევების თავისებურებები და სწავლების სტრატეგიები“. მომხსენებელი – **ნატო ხადური-ჭყოიძე**.

„სსსმ მოსწავლეთა სოციალური გარემოს გავლენა მათ განვითარებაზე“. მომხსენებლები – **გიული ხატიპოვა, მეგი ხუნაშვილი, თამრიკო მაჭარაშვილი**.

„დროის მენეჯმენტის მნიშვნელობა გაკვეთილის ეფექტურად წარმართვისთვის, როცა კლასში სსსმ მოსწავლეა“. მომხსენებლები – **მარინე ჭელიძე, მეგი ხუნაშვილი**.

„წიგნიერების კვლევა 131-ე საჯარო სკოლაში“, მომხსენებელი – **ნინო ბარნაბიშვილი**.

„კვლევების მნიშვნელობა მათემატიკის სწავლებისა და სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვისთვის“. მომხსენებელი – **ნანა ფირცხალავა**.

„სწავლება ექსპერიმენტით – სამოდელო გაკვეთილი როგორც გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი მეთოდი“. მომხსენებელი – **ნანა ჯანიაშვილი**.

„კრეატიული აზროვნების განვითარება აქტიური მეთოდებით დაწყებით საფეხურზე“. მომხსენებელი – **ეკა შველიძე**.

„ისტორიულ წყაროებზე მუშაობის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების უნარების განსავითარებლად“. მომხსენებელი – **მზია გოგოლაძე**.

„კარიკატურებით სწავლება“. მომხსენებელი – **მთვარისა ბენდელიანი**.

„დიდაქტიკური თამაშები უცხო ენის გაკვეთილზე“. მომხსენებელი – **ელენე ბასიშვილი**.

„პროექტებით სწავლება ქართულ ენასა და ლიტერატურაში“. მომხსენებელი – **მაკა სამსიანი**.

„სწავლა-სწავლება ციფრული რესურსებით“. მომხსენებელი – **გიორგი არავიაშვილი**.

კონფერენციის შემაჯამებელ ნაწილში გაკეთდა მოკლე ანალიზი, შეჯერდა წამოჭრილი პრობლემები და გამოითქვა სურვილი, გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება, დაენერგათ სიახლეები.

გამომსვლელებს შორის იყვნენ წარმომადგენლები სხვადასხვა სკოლებიდან, სამინისტროდან, რესურსცენტრიდან, ასევე – მოწვეული სტუმრები გამგეობიდან.

კონფერენცია მეტად ნაყოფიერი გამოდგა.

მარიკა ჯიქია,
რუსუდან ხოშარაული

მეშვიდე გვერდიდან

რდელის, ლოგოპედის, ფსიქოლოგის, ექთნის, მშობლის ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს ამ მოზარდის აქტიური ჩართულობა ჯგუფში, მისი ინტეგრირება. ამ კუთხით ბევრს მუშაობენ: ლოგოპედი **როზა ცირამუა** და ფსიქოლოგი **მარინე სივსივაძე**.

ცეროდენების კეთილდღეობაში, ბაგა-ბაღის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს გამოცდილ, შემოქმედ პედაგოგს, დირექტორის მოადგილე **ანიკო ბოკუჩავას.** მისი მრავალწლიანი თავდადებული მოღვაწეობა ქებადიდებას იმსახურებს.

დირექტორი მადლობას უხდის თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე საქმის მწარმოებლებს: **თეა ფოცხვერაშვილს** და **ნათელა ტაბატაძეს**, სამნეო ნაწილის კოორდინატორს, შრომისმოყვარე შემოქმედს – **ირინე ლომაიას**.

ყველა მუშაკი დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ცეროდენების ჯანმრთელობის სადარაჯოზე ერთგულად დგანან გამოცდილი ექთნები: **ქეთევან კვაშილავა** და **დალი კობაიძე**. აქვე უნდა შევაქოთ მზარეულები, რომლებიც ამ ექთნების რეკომენდაციით ეკოლოგიურად სუფთა ყუათიანი, გემრიელი კერძებით კვებავენ მოზარდებს. დიდი მადლობა გემოვნებიან მზარეულებს: **ლამზირა გუმბერიძეს**, მის თანაშემწეებს – **ლალი კობახიძეს**, **მარინე საჯაიას**, მნე – **მზია ჯოხაძე-კერესელიძეს**.

ქება ვთქვათ ხელოვნების მუშაკებისა, რომლებიც ცეროდენებს სულს უფაქიზებენ, ხელოვნების სიყვარულით ზრდიან, მთელი ბაგა-ბაღის ცხოვრებას ახალისებენ და ალამაზებენ. ესენი გახლავთ მუსიკა-ცეკვის მასწავლებლები: **მზია ხომასურიძე, მანანა რაზმაძე, ლალი სიხარულიძე** და **ია ქსოვრელი**. აღმზრდელებთან ერთად მათი ხელმძღვანელობით, ივნისის ბოლოს ჩატარდება გამოშვების დიდი ზეიმი – ასზე მეტ სკოლისთვის კარგად მომზადებულ ცეროდენას გზას დაულოცავენ პირველი კლასისკენ.

და ყველაზე მთავარი სამადლობელი სიტყვები, რაც ბოლოსთვის შემოვინახეთ. დაგელოცოთ მარჯვენა აღმზრდელ-პედაგოგებო, თანაშემწეებო, თქვენი ღვაწლია, რომ ამდენი ნიჭიერი, ცხოვრებისთვის მომზადებული ცეროდენა ფრთიანდება ბაგა-ბაღში. დიდება: **ნაირა ფანცულაიას, ნელი ჭუჭულაშვილის, ნინო ლეკიშვილის, მანანა რაჭველიშვილის, მაია ფრიდონაშვილის, სუსანა თეიმურაზიანის, ნაილი ბროლაშვილის, ლალი საჯაიას, ქეთი ბელქანიას, ნანი დოლიძის, თამარ თაბაგარის, ნინო ბეგიაშვილის, ხათუნა ტაბატაძის, ლამარა დვალის, მანანა გველესიანის, მარინე პატარქალიშვილის, ციზარო ჭანტურიძის, მანანა ტურაშვილის, სოფიო ხარჩილავას, თეა ჯინჯოლავას, თამთა კერვალიშვილის, თამილა კიკნაძის, მანანა ქვარცხავას** (ძიძა სანიტარი), **დალი ასლამაზიშვილის** (ძიძა სანიტარი), **მზია ფრიდონაშვილის, სალომე კაბსიაშვილის, მაია მურადაშვილის, მანანა ქიტიაშვილის, მარინე ლალიაშვილის, ნუნუ მანჯგალაძის, ნატო ხაჩიძის, მანანა მელიქიძის, ზეინაბ ხარშილაძის** მუხლჩაუხრელ შრომას.

ყოველ მათგანს ფუსფუსი და ფაცი-ფუცი შევატყვე – რაღაცისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. დიახ, სექტემბერში საიუბილეო თარიღია – ბაგა-ბაღი 25 წლისა გახდება.

ამ საამაყო, ღირსეულ იუბილეს წინასწარ გილოცავთ, 209-ე ბაგა-ბაღელებო.

მაია მიშველაძე

„სპექტრი“ – სპეციალისტების აღზრდის მასშტაბური სასწავლებელი

საქართველოს დედაქალაქის აღმოსავლეთით, დასახლება „აფრიკაში“ მდებარე საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ არსებობის ათიოდე წელს ითვლის. იგი ერთ-ერთი უდიდესი პროფესიული სასწავლებელია საქართველოში.

ვეწვიეთ მას და მის ხელმძღვანელობას. კოლეჯის დირექტორი **მათე ტაკიძე** გამორჩეული

მუშაკი და ღირსეული მამულიშვილია. მან ადრე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი აჭარის კულტურის მინისტრად მუშაობისას, ასევე პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ დირექტორის პოსტზე. დირექტორის მოადგილეა **ვარლამ ავალიშვილი**.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ წარმოადგენს ლიდერ სასწავლებელს სამშენებლო მიმართულების სპეციალისტების მომზადება-გადამზადებაში. გარდა ინჟინერიისა, კოლეჯი ასევე ახორციელებს სწავლების გარემოსა და სურსათის უვნებლობას, ბიზნეს ადმინისტრირებას – ხელოვნების მიმართულებით ოცდახუთამდე პროფესიულ პროგრამაზე.

ეს პრორგამებია: **ბიზნეს-ადმინისტრირება** (ბუღალტერია, ოფის-მენეჯერი), **კომპიუტერინგი** (კომპიუტერული ქსოვილებისა და სისტემების ტექნიკოსი, ინტერნეტტექნოლოგი), **ენერგეტიკა** და **ელექტროინჟინერია** (ელექტრიკოსი, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკის შემკეთებელი).

მშენებლობის პროფილით კოლეჯი ამზადებს: შემდუღებელს, კალატოზს, მეფილე-მომპირკეთებელს, მებათქაშეს, მღებავს, ზეინკალ-სანტექნიკოსს, თაბაშირმუყაოს სპეციალისტს, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსს, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის მემონტაჟეს.

სატრანსპორტო პროფილით: სავალი ნაწილის ტექნიკოსს, ძრავის შემკეთებელს, ავტომობილის ზეინკალს, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორს.

სამრეწველო ინჟინერისა და ტექნოლოგის კუთხით: დურგალს.

გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება ითვალისწინებს: სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტს, გარემოს დაცვის ტექნიკოსს.

მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ტოპოგრაფი.



ხელოვნება/დიზაინი: ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი.

სახვითი ხელოვნება: მძერწავი.

ნორვეგიის განვითარების ფონდთან ერთად შემუშავდა და მიმდინარეობს ინკლუზიური განათლება.

კოლეჯში დასაქმებულნი არიან მაღალკვალიფიციური დირექტორის მოადგილეები, პედაგოგები.

მიმდინარეობს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული 4 სართულიანი შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია, პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის და საკონფერეციო დარბაზების მოსაწყობად.

ხელი ეწყობა ინკლუზიური განათლების განვითარებას.

იგეგმება და ხორციელდება პოეზიის საღამოები, თეატრალური დადგმები; გამოფენები, ფილმების ჩვენება, საქველმოქმედო ღონისძიებები, სატელევიზიო აქტივობები.

კოლეჯში მოეწყო ბიზნეს-ფორუმი, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების და მეცნიერების სამინისტროს, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ატარებს ყოველ წლიურ გამოკითხვებს, სტუდენტების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლებისა.

კომპანიამ „აზია ენერჯი“ პროექტ „ევრო მასტერის“ ფარგლებში პროფესიულ კოლეჯ „სპექტრის“ ხელშეწყობით შარშან ჩაატარა უფასო სატრენინგო/პრაქტიკული კურსები.

წარმატებით გაიარეს ტრენინგ კურსი და დასაქმდენენ ისეთი სტუდენტები, როგორიც არიან: **ბეჟანიშვილი გიორგი, ახალაძე გიორგი, ხუციშვილი ლევანი, მასურაშვილი ნიკა, ჩიმანიანი რუდოლფი, ნაგლაძე ვალერი, ჩახმახაშვილი გიორგი, სულხან ჯორჯიაშვილი, ლევან ჯანიაშვილი, ბურჭულაძე რომანი, დიმიტრაძე გედეონი** და სხვები.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადეობასა GIZ-თან და შპს „კაპაროლ ჯორჯიასთან“, შპს „კნაუფ გიპს თბილისთან“ და შპს „ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსთან“ გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადეობის GIZ-ის დაკვეთით განხორციელდა პროექტი: „პროფესიული განათლება და ლიდერთა ტრეინინგი სამხრეთ კავკასიაში“. პროექტის ფარგლებში მომზადდა პროფესიული მასწავლებლები პროფესიულ პედაგოგიკაში და

დიდაქტიკაში. რეგულარურად ხდება შეხვედრა სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან.

ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებთან

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლების ხარისხის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

კოლეჯის პარტნიორები და დამსაქმებლები არიან: შპს „კავკასუს როუდ პროჯექტი“, სპს .„ოლპი ჯგუფი“, შპს „ტექნოჰაუსი“ (ბეკო), „შპს „ელიტა ბურჯი“, შპს „კნაუფი“, შპს „ჰაიდელბერგცემენტი“, შპს „კაპაროლი“, შპს „ფოლადკონსტრუქცია“, შპს „რუსმეტალი“, შპს „ინ-სი“, შპს „ენერგოპრო-ჯორჯია“, შპს „გზატკეცილ+“, შპს „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფოვერ“, შპს „ჯეოთურანი“, შპს „ახალი ქსელები“, შპს. „აზია ენრჯი“, შპს „ჯეოტურანი“, „სს „ლომისი“, შპს „სერვის ოფისი“ და მრავალი სხვა წარმატებული კომპანია.

კოლეჯს ამჟამად გააჩნია 40 კაბინეტ-ლაბორატორია, 19 სასწავლო სახელოსნო, ბიბლიოთეკა 127 776 წიგნით, ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და ავტოდრომი. ასევე მიმდინარეობს არსებული საერთო საცხოვრებლის და 4 სასწავლო სახელოსნოს რეაბილიტაცია, რაც მომავალი წინსვლის საწინდარია.

წარმატებებს ვუსურვებთ კვალიფიციური კადრების აღმზრდელი გამორჩეული კოლეჯის „სპექტრის“ კოლექტივს.

რომან მოსეშვილი

„ნეტავი, შვილთა მრავალთა!“

„ხუთოსანი“ პედაგოგები

მარინე ფირანიშვილი

გუდამაყრის ქუჩაზე თბილისის მე-15 სკოლის წინ რამდენჯერაც გავივლი, იმდენჯერ უსიამოვნო გრძნობა მეუფლება. იმ საკლასო ოთახებიდან, სადაც გაკვეთილებს ვატარებდი, დევნილთა გამოფენილი საცვლები ფრიალებს, კედლები ჭვარტლითაა გამურული.

ტრაგიკული ბედი ერგო მრავალი გამოჩენილი მამულიშვილის, კერძოდ, ეკონომიკის ყოფილი მინისტრისა და დღეს დედაუნივერსიტეტის რექტორის, **ლადო პაპავას** აღმზრდელ 80 წლის სკოლას: ჯერ იყო და, 2002 წლის 22 აპრილის მინისძვრამ სახიფათოდ დაბზარა, მერე 2008 წლის 13 სექტემბერს მეორე სართულის შუაგული ჩაინგრა.

მეზობელ, 207-ე სკოლას შევეხიზნეთ. ორი წელი გვატყუა მაშინდელმა მინისტრმა დ. შაშკინმა, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა მზად არის, მალე ახალ შენობაში შეხვალთო.

თურმე ეშმაკს არ ეძინა – მოულოდნელად გაგვაუქმეს. ხუთი წელია №15 სკოლა ბუნებაში არ არსებობს.

ასეთია ძალიან მოკლედ სევდიანი ისტორია ჩვენი მშობლიური სკოლისა, სადაც 33 წელი ვიმუშავე. „ვაჰ, რა ძნელია კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი!“

ახლა ძირითად სათქმელს ვუბრუნდები: მაშინ, ჩვენი ერთად მუშაობის დროს, ორი პედაგოგი ოთხ-ოთხ შვილს ზრდიდა. ორივეს ხუმრობით შევპირდი, მეხუთე შვილი რომ გეყოლებათ, თქვენზე წერილს დავწერ, რომლის სათაური იქნება „ხუთოსანი“ პედაგოგები“-მეთქი.

მარინე ფირანიშვილი დაწყებითი კლასების ჩინებული მასწავლებელი გახლავთ, ნოვატორი, ენერგიული, მაძიებელი. ასეთი იყო იგი მუდამ, **ამირან მათითაშვილის**, **რომან მოსეშვილის**, **გულიკო ჯაშაშვილის** დირექტორობის დროსაც. ასეთად იცნობს მას დღევანდელი დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე**.

ქართულის მასწავლებელ **მაკა თაბაგარზეც** იგივე მინდა ვთქვა. ორივე უპრეტენზიოა, ჩუმი, მუშა ფუტკარივით გამ-

მაკა თაბაგარი

რჯე.

სამიოდე თვის წინათ ძველი კოლეგებისგან (**ცისანა ყიფიანი**, **ნაზი მიხაილიდი**, **ნინო კობახიძე**, **მარინე კასრაძე**, **მაია კიკაჩეიშვილი**) შევიტყვე: მარინესა და მაკას ხუთ-ხუთი შვილი ჰყავთო.

სულ ახლახან კი გავიგე – ბალანსი დარღვეულა, **მაკა თაბაგარს** მეექვსე შვილი შეძენია.

და ჰა, მეც ვასრულებ დანაპირებს.

მაკა და მარინე, ბედნიერ დედობას გილოცავთ!

ბორის მიშველაძე,
ყოფილი მე-15 სკოლის
ყოფილი პედაგოგი

სკოლის დამთავრების სევდა-სიხარული

ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება

როცა რაღაც მთავრდება, სევდა მოდის, სევდა დიდი და თან მსუბუქი...

...არ იცვლებოდა წელიწადების დროების რიგითობა, არც წელიწადში თვეების, კვირეებისა და დღეების რაოდენობა; იცვლებოდა წლიდან წლამდე მათი თვალების შუქი და სიღრმე... მათი სახის ნაკვთები იძენდა მკვეთრ მოხაზულობას, მზერა – დამაჯერებლობას... ამასობაში გაილია მეთორმეტე წელიც, სავსე აბიტურიენტობის ღელვითა და რაღაც დიდის დასასრულის ტკბილი სევდით...

ერთ სივრცეში ყოფნა სამი ათეული ადამიანისა, რომლებიც განირჩევიან გემოვნებით, ხედვით, დამოკიდებულებებითა და მათი ასაკისთვის შესაფერისნი ზერთული ხასიათით, არცთუ ისე ადვილია და სწორედ აქ ჩნდება ურთიერთობის ის შინაგანი უხილავი ძაფები, რომლებიც ადამიანებს მეგობრებად გვიხდიან, მათი ხასიათების სირთულისა და თავისებურებათა მიხედვით.

ექვსი წელიწადი საკმარისი დროა საიმისოდ, რომ ახალაგზრდები შენიანებად, შენი სულისა და გულის ნაწილად მიიჩნიო და მით უმეტეს, თუ ისინი ბავშვები არიან; ბავშვები, თავიანთი გულწრფელობით, უშუალობით, საიმედობითა და დიდი სიყვარულით...

გავა დრო. მოგონება ამ წლებისა სხვაგვარად გაათბობს გულს, რადგან შეუძლებელია ადამიანმა მიიღოს უფრო მეტი პოზიტივი, ვიდრე ეს ბავშვებისგან მიღებული დადებითი მუხტია.

შეჩვევა, მრავალწლიანი შეჩვევა წლების შემდეგ ერთგვარ ნოსტალგიას მოიტანს; როცა აღარ იქნება ის, რაც იყო; როცა ამ საკლასო სივრცეში სხვები დაიდებენ ბინას, მაგრამ ესეც ხომ ის ზოგადი კანონზომიერებაა, რომელსაც ცხოვრების ვერც ერთ სეგმენტში გვერდს ვერ ავუვლით.

...და ასე, ისინი აირჩევენ საკუთარ გზას და, უკვე დავიწყებულნი, შეეცდებიან სასიკეთოდ პროდუქტიული იყოს თავიანთი ნამოქმედარი, ლოგიკური და გონივრული კი – ცხოვრების მნიშვნელოვანი არჩევანი.

მიდიან სკოლიდან უკვე დიდები, ჩამოყალიბებულნი, მიდიან და ტოვებენ იმედს, რომ ხვალ უფრო კარგი დილა გათენდება, უფრო სხვა მცხუნვარება ექნება მზეს და დღეებიც მეტ სასიამოვნო სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

როცა რაღაცას კარგავ, რაღაც რომ მთავრდება, სევდა მოდის... სევდა დიდი და თან მსუბუქი... აი, უცნაურად რომ გავსებს და გაკეთილშობილებს.

ამ სევდა-სიხარულიან ჩანახატს ვუძღვნი ჩემს სადამრიგებლო კლასის ყველა კურსდამთავრებულს, რომელთაც მეხუთე კლასიდან ველოლიავებოდი.

კიდევ ცოტა და... გამიფრინდებიან. მინდა მჯეროდეს, ისინი არასოდეს დამივიწყებენ. ჩვენი მეგობრობა გაგრძელდება.

მარეხ ირემაძე,
თბილისის მე-10 სკოლის XII კლასის
ხელმძღვანელი

სარედაქციო მინაწერი: ეს წერილი მათემატიკის მასწავლებელმა დაგვიწერა. ალბათ დაგვეთანხმება მკითხველი, ასეთი ჩანახატის დაწერა ყველა ფილოლოგს ვერ ხელეწიფება. სულ სხვა ფიქრი გვაწუხებს, როგორც მკითხველს: ვაკვირდებით 18 წლის კურსდამამთავრებლების მისწრაფებებს, სულის მოძრაობის და ვაწყდებით მათ გულგრილობას ჭაბუკური გატაცებების, რომანტიკის მიმართ – თითქოს არაფერია სკოლის დამთავრება, უინტერესოა ყველაფერი, არ შეიმჩნევა მათში განცდა იმისა, რომ მალე სულ სხვა ცხოვრება დაიწყება.

ჩვენ, ძველ თაობას, გუშინდელ დღესავით გვახსოვს სკოლის დამთავრების პერიპეტიები. ნუთუ მარტო სტუდენტად გახდომა ან ბევრი ფულის შოვნა არის ჩვენი ცხოვრების არსი და ადამიანური ღირებულება? რამ მოიტანა ყოველივე ეს?

თუ ჩვენი აზრი და შეხედულება მცდარია, XII კლასელებო, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

საქმე, რომელიც გვეჩოთირება

სუბიექტური აზრი

ყოველგვარ აზრს, ვინმეს მოსწონს, თუ არა, აქვსო არსებობის უფლება. ეს გამოთქმა დღეს მოდაშია. ჰოდა, თუ ასეა, მეც მაქვს უფლება, მქონდეს საკუთარი ხედვა.

ათი წელია, რაც **საშუალო** სკოლას უწოდეს „**საჯარო**“. ჩავიხედოთ განმარტებით ლექსიკონში. „**ჯარი**“ არის ადამიანთა კრებული. სკოლა ხომ პედაგოგ-მოსწავლეთა კრებულისგან შედგება. რად უნდა მას განსაზღვრება „**საჯარო**?“ თუ ამ ლოგიკას გავყვებით, უნდა იყოს: „**საჯარო კოლეჯი**“, „**საჯარო პროფესიული სასწავლებელი**“, „**საჯარო ტექნიკური უნივერსიტეტი**“, „**საჯარო ლიცეუმი**“, „**საჯარო ინსტიტუტი**“. ადამიანების გარდა სხვა რამე დადის ამ დაწესებულებებში ცოდნის შესაძენად? ძველებური, ტრადიციული განსაზღვრება ჯობია, ღმერთმანი. „**საჯარო**“ ხელმოცარული რეფორმისტების მოგონილია, რომელთაც ვერაფრის რეფორმა ვერ გაატარეს, გარდა ტერმინოლოგიისა.

***

რა არის „**მედიაექსპერტი**?“ „**ექსპერტი**“ „**მცოდნეს**“ ნიშნავს მამა-პაპური ქართულით. ჭეშმარიტ ჟურნალისტს „**მედიაექსპერტი**“ რაში ჭირდება? იგი თავად არის მედიაექსპერტი. ე. ი. თავისი პროფესიის მცოდნეც და შემოქმედიც. როგორც კრიტიკოსი ვერ ასწავლის მწერალს წერას, ისე მედიაექსპერტი ჟურნალისტობას ვერავის ასწავლის (ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორებს არ ვგულისხმობთ). ახლა ვიღაც გამოხტება და იყვირებს: სკოლას თუ ისევ დავუბრუნეთ ნამდვილი შესატყვისი განმსაზღვრელი მისი არსისა „**საშუალო**“, საბჭოეთში დაბრუნება იქნებაო. მკითხველმა განსაჯოს.

ცილისწამება დასჯადია?

ეს ამბავი მოხდა შორეულ წარსულში. ახალგაზრდა კაცს სატრფო გაუთხოვდა. შურიანობის ნიადაგზე ქორწილის წინადღეს „მოღალატეს“ ხმა გაუვრცელა, თითქოს მასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა. სასიძოს ყურამდე ამ ამბავმა მიაღწია. ქორწილი ჩაიშალა, მომავალი ოჯახი დაინგრა. სასამართლომ დაადგინა აშკარა ბოროტგანზრახვის ფაქტი და ცილისმწამებელი ციხის ბინადარი გახადა.

დღეს ეს მუხლი სასამართლოს კოდექსიდან ამოღებული ჩანს, რადგანაც იმდენი ცილისწამება იფრქვევა (ნეპოტიზმიო, ქურდიო, ბანდიტიო, – ვერცერთს ევრ უმტკიცებენ), მაგრამ ცილისწამებისთვის დასჯილი არავინ გვსმენია. ასეა ლანძღვის, ბილწსიტყვაობის შემთხვევაშიც: გადმოდგება ტელევიზიით მავანი, უშვერი სიტყვებით ლანძღავს, ამცირებს, აბუჩად იგდებს დეპუტატს, პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, მაგრამ ამისთვის დასჯილი ვინ ნახა? საჭიროა, ეს ქცევები დასჯადი იყოს, თუნდაც ჯარიმის სახით მაინც.

მოსე მწერალი

რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№ 8 (4512)
13 მაისი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009